

## საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამა (CIP 2)

“ქეა საერთაშორისო კავკასიაში“-მ პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად მოიპოვა გრანტი საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამის (სიპ) მეორე ფაზის განსახორციელებლად, იმისათვის რომ კიდევ სამი წლით განაგრძოს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის და სამხრეთ კავკასიის გაზსადენის გასწვრივ მდებარე 77 თემის განვითარების პროცესი. სიპ-2 ინიცირებული და დაფინანსებულია BP-სა და მისი პარტნიორების მიერ, როგორც ერთიანი “სამომავლო სოციალური ინვესტიციების პროგრამის” ნაწილი.

პროგრამის მიზანია სასიცოცხლო პირობების გაუმჯობესებით, დასაქმებითა და სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერების გზით BP-სა და მილსადენის გასწვრივ მდებარე თემებს შორის გაამყაროს ურთიერთობა. სამწლიანი პროექტის მთლიანი ბიუჯეტი 3,8 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს.

“ქეა საერთაშორისო კავკასიაში” პროექტს 5 პარტნიორ ორგანიზაციასთან ერთად ახორციელებს. ეს ორგანიზაციები არიან ფონდი “კონსტანტა”, “საქართველოს სკაუტების ორგანიზაცია”, “ბიზნესსაკონსულტაციო ორგანიზაციათა ასოციაცია” (ABCO), “ტრენინგებისა და კონსულტაციების ცენტრი” (CTC) და “პარტნიორები-საქართველო”.

სასიცოცხლო პირობების გაუმჯობესება და დასაქმება

პროექტი ფერმერების განათლებას უზრუნველყოფს სადემონსტრაციო ფერმების/ნაკვეთების მოწყობისა და ტრენინგების საშუალებით. გარდა ამისა, პროექტი სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო მასალით უზრუნველყოფს ფერმერებს. პროექტის ფარგლებში ჩამოყალიბდება 100 სადემონსტრაციო ფერმა/ნაკვეთი. პროექტი დაეხმარება 15 მწარმოებელთა ჯგუფს კოოპერატიული წარმოებისა და მარკეტინგული მიზნების მიღწევაში. სპეციალისტები იმუშავებენ არანაკლებ 300 ფერმერთან. პროექტი დაეხმარება 10 ფერმერულ სერვისჯგუფს ტრენინგებით, გრანტებითა და კონსულტაციებით.

რა სახის სესხს სთავაზობს პროექტი სამიზნე სოფლებს?

“ქეა“-ს და ფონდ “კონსტანტა“-ს სწამთ, რომ სასიცოცხლო პირობების გაუმჯობესებისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა კრედიტის ხელმისაწვდომობა. წინამორბედ პროექტ სიპ-1 დასავლეთ ნაწილში გაიცა დაახლოებით 2,1 მილიონი ა.შ.შ დოლარის ოდენობის 5 180 სესხი.

სიპ-2-ში “კონსტანტა” განაგრძობს სესხების გაცემას თავისი რეგიონალური ოფისებიდან. ფონდი “კონსტანტა” მომხმარებლებს სთავაზობს ინდივიდუალურ და ჯგუფურ სესხებს. პროექტის ფარგლებში კონსტანტა ემსახურება დაახლოებით 3 700 მსესხებელს სამცხე-ჯავახეთში, ხოლო დაახლოებით 5 000 მსესხებელს ქვემო ქართლის რეგიონში. სესხები

განკუთვნილია მცირე ბიზნესის გასავითარებლად, აქტივების შესაძენად, ახალი ბიზნესის წამოსაწყებად, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისათვის და ა.შ.

ახალგაზრდა მეწარმე ქალთა მიერ ბიზნესის წამოწყება

პროექტი სთავაზებს ბიზნესის მართვის ტრენინგებსა და გრანტებს ახალგაზრდა მეწარმე ქალებს, რაც მათ სხვა ტიპის საფინანსო ინსტიტუტებიდან სესხის მოპოვებაში დაეხმარება.

რა სახის ინფრასტრუქტურულ პროექტებს დააფინანსებს პროექტი და რა გავლენას მოახდენს ეს თემის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე?

“ქეა“-ს სწამს, რომ ძლიერი სამოქალაქო საზოგადოება ყალიბდება მაშინ, როდესაც თემებისა და საზოგადოების ლიდერები ერთიანდებიან საერთო მიზნის მისაღწევად. ასეთი ტიპის პროექტების მაგალითებია წყლის სისტემის რეაბილიტაცია, გზის შეკეთება, სკოლის რეაბილიტაცია, და ა.შ. წინამორბედ პროექტში საერთო ინვესტიციამ მსგავსი ტიპის საქმიანობებში 1 მილიონი ა.შ.შ. დოლარი შეადგინა, რაშიც თემის თანამონაწილეობა 35% იყო. ამ ტიპის საქმიანობას სიპ-2 განაგრძობს კარგად ორგანიზებულ და მაღალი მოტივაციის მქონე თემებთან, რომლებიც საკონკურსო გრანტის მოპოვებას შეძლებენ. მომავალი სამი წლის განმავლობაში სიპ-2 შესთავაზებს თანადაფინანსებას 45 თემს, რომლებიცსაუკეთესო პროექტებს წარმოადგენენ. პროექტები მიმართული უნდა იყოს თემის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ. პირველ წელს დაფინანსდება დაახლოებით 17 პროექტი, მეორე წელს - 20, ხოლო მესამე წელს - 8. პროექტის განხორციელებისთვის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს თემის მხრიდან თანამონაწილეობა, რაც არანაკლებ 25%-ს უნდა შეადგენდეს. ეს თანამონაწილეობა შეიძლება იყოს ან თანხობრივი, ან სამშენებლო მასალა ან შრომითი წვლილი.

რა სახის დახმარებას გაუწევს პროექტი მილსადენის გასწვრივ მდებარე სკოლებს და მათ სამეურვეო საბჭოებს?

პროექტი დააფინანსებს კომპიუტერული ლაბორატორიების შექმნას ან სკოლის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციას 4 ქალაქის 5 დიდ სკოლაში (რუსთავი, მარნეული, თეთრიწყარო და გარდაბანი). ხოლო მილსადენის გასწვრივ მდებარე 13 სკოლის სამეურვეო საბჭოების 130 წევრს ჩაუტარდებათ ტრენინგი განათლების სამინისტროს საკანონმდებლო მოთხოვნებზე. პროექტი სამეურვეო საბჭოებს ასევე დაეხმარება ფუნქციებისა და როლების გადანაწილებაში მათი ეფექტურად წარმართვის მიზნით.

რა სახის საქმიანობებს განახორციელებს პროექტი ადგილობრივ მოსახლეობაში გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების მიზნით?

საქართველოს სკაუტების ორგანიზაცია განავითარებს მასწავლებელთა უნარებს, რომ მათ ეკო-კლუბების ჩამოყალიბება და მართვა შეძლონ. ეს ღონისძიება 250 სკოლის მოსწავლეს

მოიცავს. ჩატარდება ლიდერობისა და გარემოს დაცვითი ტრენინგები როგორც მასწავლებლებისთვის, ასევე მოსწავლეებისთვის.

რამდენი სკაუტური ჯგუფის ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს პროექტი და რა კრიტერიუმებით მოხდება მონაწილეთა შერჩევა?

საქართველოს სკაუტების ორგანიზაცია დააარსებს 20 სკაუტურ ჯგუფს, ხოლო თითოეულ მათგანში გაწევრიანდება 12-დან 17 წლამდე ასაკის 25 სკოლის მოსწავლე. პოტენციურ ლიდერებს ჩატარდება ტრენინგები სკაუტურ პრინციპებსა და კონფლიქტის მართვაში. ასევე 250 ახალგაზრდისთვის დაფინანსდება საზაფხულო ბანაკები, რომელთა ორიენტირაც გარემოსდაცვითი საკითხები იქნება.

2006 წელს ქვამ პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად მოიპოვა გრანტი საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამის განსახორციელებლად, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისა და სამხრეთ კავკასიის გაზსადენის გასწვრივ მდებარე 77 თემში განვითარების პროცესის ხელშეწყობისთვის. "სიპ" ინიცირებული და დაფინანსებულია BP-სა და მისი პარტნიორების BTC ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის, SCP სამხრეთ კავკასიის მილსადენისა და GPC-საქართველოს მილსადენის კომპანიების მიერ.

